ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №220897

ნომერი: AR150192

თარიღი : 11.05.2012

გაცემის თარიღი : 18.06.2012

გაცნობის თარიღი : 19.06.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მირზა შაფი , N 5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვაჟა ჩუბინაშვილი პ/ნ 01028004521
- თბილისი ლილოს დას. IV კვ. კორ. 1 ბ. 40

ორგანიზაცია:
- შპს "აბანო #7" კოდი: 202451364

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

2012 წლის 11 მაისს AR150192განცხადებით მომართა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს მოქალაქე ვაჟა ჩუბინაშვილმა დამოითხოვა ქ. თბილისში, მირზა შაფის ქ. #5–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი #01.18.04.019.004) სასტუმროსა და ღია კაფეს განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადება.

გამომდინარე იქედან, რომ საპროექტო ტერიტორია მოქცეულია ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის საზღვარში, საკითხი განიხილა "საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის _ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს – გაერთიანებულმა სამეცნიერო–

მეთოდურმა საბჭომ“, რომელზედაც მიღებული იქნა უარყოფითი დასკვნა, 2012 წლის 12 ივნისის სხდომის ოქმი #24-ის (რომელიც მოგეწოდებათ მომზადებისთანავე) რეკომენდაციის და სამსახურის გადაწყვეტილების შესაბამისად,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას მოქალაქე ვაჟა ჩუბინაშვილს ქ. თბილისში, მირზა შაფის ქ. #5–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი #01.18.04.019.004) სასტუმროსა და ღია კაფეს განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.